საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო ჰარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 1 1921 წ. ოთხშაბათი მარტის 2 № 3

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

ცხრილის მარტის 3

ბუნებიგიების ცდა, რომ საქართველო გაეწყვიტა მსოფლიო რეგიოლიუციისაგან დამარცხდა. ქართველ მშრომელ ხალხს სათავეში ჩაუდგა შეურიგებელი მტერი მეურვეობიდან - კაპიტალისტური რეჟიმისა. ამ ახალ ძალას ამასიათებს გარკვეული, პირდაპირი ხაზი და მტკიცე ნებისყოფა ურყეველი რწმენა გამარჯვებისა. დღევანდელ არსებული ლოზუნგი „არც აქეთ, არც იქით“ ადგილს უთმობს ახალ მოწოდებას, ახალ ყიჟინას: „წინ, სოციალიზმისაკენ!“ ეს დიადი ლოზუნგი არ არის უცნობი ჩვენი მშრომელი ხალხისათვის. საქართველო ეხლა არ გაწითლებულა ამა თუ იმ მოსაზრებით; ის ცარიზმის დროსაც წითელი დროშის მატარებელი იყო და ეხლა უფრო მაღლა აჰრუვს მას, უფრო გაბედულად წაგა წინ აღთქმის ქვეყნისაკენ.

დიდი საქმე, დიდი მიზანი დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ძველი ქვეყნის დანგრევა და ახალის აშენება ადვილი არაფის გვონია. ეს ხანგრძლივი პროცესის საქმეა და ვინც ამ პროცესში ჩაერევა ყოველად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველივე სიძნელე, ყოველივე შესაძლებლობა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ის გზა ძნელი და ეტად მძიმე საქმეში, რომ მას მოელის ბევრი გასაჭირი და ბევრი განსაცდელი. მაგრამ მის შეგნებულად, უშიშრად უნდა შეუდგეს ახალი ქვეყნის შენებას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ყველას, ვინც ამაში მას ხელს შეუშლის.

მაშ ბოროტ ყოველგვარი იქნები და რაგვარ ნუ შეგვაშინებს ნურავითარი გასაჭირი; ჩვენდ შეუდგეთ ბრძოლასა და შრომას.

ხელი შორს

დიდ ისტორიულ მოვლენებს თავისი ამაკური ხასიათებიც აქვს. ასე მოხდა ახლაც: საქართველოში ადგილი ჰქონ- ეტად მნიშვნელოვან გადატრიალე- ას, როდესაც მშრომელი მასა განთავი- ულდა არამკითხე და უნიათო მეს- ვეთაგან და გარკვეულად ჩადგა პრო- ტარულ რევოლიუციის როლში. ეს დი და დადებითი მოვლენა არ შეი- ება ნოელი თავისი მნიშვნელობით ესებულ იქმნას ერთი-ორ დღეს, მაგ- ყველა გრძნობს იმ ფართო ისტო- ულ პერსპექტივებს, რომელნიც მშრო- ელ საქართველოს წინაშე იშლება რუ- თან რევოლიუციასთან კავშირ- ას ადგილთან.

ნაგრამ ამ დიდ მოვლენას თან ახლავს ოთა გაუგებრობით გამოწვეული კომი რი მოვლენაც: ჩვენ მოგვდის ცნო- ბი, რომ სხვა და სხვა დაწესებულე- ბს იერიშით იღებენ ყოფილი მოხე- ები კომეტებივლად არა ქართული თვებისა. საწყალ „სტატსკი სოვეტ- ებს“ და „კოლეჩსკი ასსესორებს“ ისე ქვიათ საქმე, თითქოს რევოლიუციო- ური გადატრიალება საქართველოში ასაგან მოხდა, რომ ეს ქადაღდის ხანები ასეც დაუბრუნდნენ თავის ვილლებს“ ღრდანას და მწვანე მაუ- ს ხუჭვას. მათ ავიწყდებათ, რომ ქარ- ოველ მუშას და ქართველ გლეხს მათი ობეკუნობა არც ძველად ესაჭიროებოდა და არც ეხლა სჭირიათ. ეს ისტორიულ ცოცხის მიერ ქართულ სახელმწიფოებრივ შენობიდან გამოხვეტილი ნაგავი ისევ მეიჭრობს იმავ შენობაში შეჭრას, სურს ისარგებლოს იმ დია ფანჯრებით, რომელთა გაღება საჭირო შეიქნა მათი გაბრწყინვალე გვამების გამოსვენების შემდეგ. ხელი შორს წმინდა რევოლიუციონურ საქმისაგან! ქართველ მშრომელთა მეგობარი—წითელი არმია, ეს ის ჭანდარმული ბაშიბუზუკების ჯარი არ გეგონოთ, რომელთან ერთად თქვენ საქართველოში მიბრძანდებოდით და კურთხევით გვირგვინოსან ყაჩაღისა ქართველ ერის ბურგზე მალაყიას გადადიოდით.

ჩვენ გვწამს და საამისო უტყუარი ცნობებიც გვაქვს, რომ ამ ვაჭბატონების თარეშს საქართველოში არავინ დაუშვებს. ყველას კარგად ესმის, რომ ეს ხალხი სპეკულიაციას ეწევა ხალხურ რევოლიუციაზე და თავისი ბნელი საქმის გაკეთებას ლამობს ქართველ ერის და ყოველივეგე ქართულის წინააღმდეგ მტრობით და შურით აღვსილი—იგი ვილაცას მოტყუებას სცდილობს და ამ გარდამავალ ხანაში მგონია ისარგებლებს მით, რომ რევოლიუციონური წესრიგი ორ დღეში არ განმტკიცდება. ყველასათვის ცხადია, რომ თუ ჩვენში რევოლიუციონურ საქმეს მტერი ჰყავს ეს ის ხალხია, რომელიც ეროვნულ შურისძიებას სახელმძღვანელოდ გაიხდის და სწორედ ასეთი ჯურისანი არიან, ის ყოფილი მოხელეები, რომელთაც იმ თავითვე ძველი თვითმპყრობელობის დროს კარგად ჰქონდათ შესწავლული ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდების საქმე. ქართველი გლეხი და მუშა, რომლის ხელშია დღეს პოლიტიკური ძალა უფლება, ერთ სულოვნად შესძახებს ამ ვაჭბატონებს შორს თქვენი ბინძური ხელი ჩვენი წმინდა საქმიდან! რევოლიუციის ჩარხს რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოცილდეს ის ტალახი, რომელიც მას მიკვრია და წინ სვლას უშლის.

ვალ. ნუცუბიძე.

გრძანება № 2.

ტფილისის გარნიზონის უფროსისა.

წინასწარ ჩემ განსაკუთრებულ განკარგულებისა გიბრძანებთ:

1) თანახმად ოქმისა ამა 23-ის თებერვლის 1921 წლ. შემდგარ კომიტეტს ხუთ პირიდან, რომელნიც არიან არჩეულნი საერთო ტეხნიკურ სექციის მოსამსახურეების კრებაზე, რევოლიუციონურ კომიტეტის წევრის თანდასწრებით, ვავალებ ზემოხსენებულ კომიტეტს დადგეს ყოფილ ტეხნიკურ სექციის სამხედრო სამინისტროს, დღეს კი არმიის ტეხნიკურ სექციის, სათავეში.

2) ზემოხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ვამტკიცებ დროებით ინჟინერ ქგარიანს.

3) ზემოხსენებულ ტეხნიკურ სექციის კომიტეტის მხედველობაში შედის: ზედამხედველობა, დაცვა, შეკეთება და გაზიდვა ნაგავის და სიბინძურისა, ყველა სახაზინო შენობებიდან, რომლებიც არიან ამიერ ტერიტორიაზე დაკავებული სამხედოთა ჯარების მიერ. ჯარებმა დაბინავება, მომარაგება ქალის სათბომ მასალით (შეშით, ქვანახშირით, ნავთ-მასალით, და ბენზინით) და სანიტარია ქონებით. დროებით რჩება უცვლელად სექციის ორგანიზაციის სხვა განყოფილებებით ბინისა და მომარაგებისა.

4) ყოფილი ტეხნიკური სექციის უფროსის ფუნქციები გადადის აღნიშნულ კომიტეტის გამგეებლობაში შემდეგი უფლებებით: მოსამსახურეთა შტატის დანიშვნა მისი რაოდენობის და ყველა შინაური საკითხების გამორკვევა.

5) ერთი თვის მიუცილებელ კრედიტისათვის დაუყოვნებლივ იქნას წარმოდგენილი მოხსენება: აღნიშნულ კრედიტს კომიტეტი აწარმოებს საკუთარი მოსაზრების მიხედვით, სათანადო ანგარიშის ჩემდამი წარმოუნებულით.

6) აღნიშნული კომიტეტი გადაეცემა წარმოადგინოს სია სამსახურში მიღებულ პირთა, რომელთა ეგალება შენახვა ქონებისა და რომელიც გადადის ტეხნიკურ სექციის კომიტეტის განკარგულებაში; სია საჭიროა იარაღის მიცემისათვის.

7) ყველა სექციის მოსამსახურეთ მიეცეს ბამსახურში ყოფნის მოწმობა, რომელიმე კომიტეტის წევრის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

8) ყოფილი სახალხო გვარდიის ბინათა განყოფილება იშლება და ყველა აღნიშნულ განყოფილების ფუნქციები გადადის არმიის ტეხნიკურ სექციის კომიტეტის განკარგულებაში.

დედანს ხელს აწერენ: გარნიზონის უფროსი გენერალი.

რევკომის თავმჯდომარე (ხელმოწერილია).

სწორეა: პასუხისმგებელი მდივანი კუშნიცოვი.

1921 წ. თებერვლის 27 ქ. ტფილისი (გრუზავეროსტა),

ახალი ამბები

— **საზავო დელეგაცია.** მარტის 1 ლს გაემგზავრა ტფილისიდან საზავო დელეგაცია ჩვენი პარტიის ინიციატივით შედგენილი. დელეგაციის წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა რევოლიუციონურ კომიტეტთან, რომელთანაც ერთგვარ შეთანხმებას მიაღწია. დელეგაციის შემადგენლობა შემდეგია: პროფ. მიხეილ წერეთელი, თ. ლონტი, გერონტი ქიქოძე, გიგო ნათაძე.

— **ს. დ. პარტიის წევრთა სხდომა.** პარასკევს, მარტის 4-ს ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საქ. ს. დ. მუშ. პარტიის ყველა წევრთა სხდომა. სხდომა ნებადართულია.

— **ხურსათ - სანოვაგის საკითხი.** სასურსათო კომიტეტმა წინადადებით მიმართა ყველა მეფუტრნეებს ნორმალურად აცხონ პური და გაყიდონ ის ფქვილი, რომელიც აქვთ საწყობებში.

— **დეპუტის შაჰარი.** სასურსათო კომიტეტმა წინადადებით მიმართა ქალაქთა კავშირს გამოუშვას გასაგიდათ ლერწმის შაჰარი გირვანქა 6000 მანეთად. გაყიდვის წესი შემოიღოს ისე, როგორც ეს დაადგინა სასურსათო განყოფილებამ.

— **პროფ. კავშირების ორგანიზაცია.** წინეთ არსებულ პროფესიონალურ კავშირების მაგიერ დაარსდა პროფესიონალურ კავშირთა დროებითი ბიურო. თებერვლის 27-ს სხდომაზე ბიუროს დაადგინა: დაშალოს მუშათა სასახლის მცველი დროებითი კომიტეტი, დანიშნოს სასახლის კომენდანტის თანამდებობაზე ამხ. ოსეპიანცი და დაევალოს მას ამხ. იაშვილთან ერთად გადასცეს ქონება კავშირის გამგეობას. ტეხნიკური ნაწილის გამგეთ დაინიშნოს ამხ. ბრენკე, შეადგინონ კომისია საქართველოს ყოფილი პროფ. კავშირის ქონების მისაღებად. კომისიაში შედიან ამხ. იაშვილი, მოფშენხონი და ოსეპიანცი. გადაცემულ უნდა იქნას ქონება შემდეგი კავშირების 1. ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირის, 2. მბეჭდავების, 3. დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეთა, 4. სამკურნალო დაწესებულებათა მოსამსახურეების, 5. ჭსოვილების დამმუშავებელთა, 6. ელექტრიკების, 7. ჟურნალისტების, 8. ფარმაცევტების, 9. „იგლა“ პროლეტარების, 10. სასურსათო, 11. ლითონზე მომუშავეების, 12. მეთამბაქოების, 13. ტრამვაის მოსამსახურეების. (გრუკავრ.)

სოც.-ფედ. პარტიაში

თებერვლის 27 პარტიის მთავარ ბიუროში შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება. კრების თავმჯდომარემ ამხ. შალვა ნუცუბიძემ მიმართა კრებას პირველი სიტყვით, რომელშიაც, შეეხო მომხდარ გადატრიალების მნიშვნელობას და მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს დარჩნენ თავიანთ ადგილებზე. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. თედო ლონტმა. დასასრულ კრებამ გამოიმუშავა დებულება, რომლის მიხედვით შესდგა ახალი დრ. მთავარი კომიტეტი.

—

თებერვლის 27 მოხდა დრ. მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. შ. ნუცუბიძე, ამხანაგად თედო ლონტი.

—

ხამსახურის მაძიებელდა. მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს, ვინც ეძებს რამე სამსახურს, გამოცხადდნენ პარტიულ კლუბში სარეკომენდაციო წერილის მისაღებად. განსაკუთრებით ვისაც შეუძლიან ქალაქის მილიციაში სამსახური, დაუყონებლივ იქნებიან იგინი მილებულნი სხვა და სხვა თანამდებობაზე თანახმად მათის შეძლებისა.

საბჭოთა რუსეთი

(გრუკავროსტას ცნობები)

სამშვიდობო მოლაპარაკება პოლონეთთან.

მოსკოვი. 1—3. (რადიო) თებერვლის 24 რუსეთ უკრაინა პოლონეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა ოქმს, რომლითაც დროებითი ზავის ვადა გაგრძელებულ იქნება 15 დღის შემდეგაც. დროებითი ზავის პირობების ურთიერთ შორის რატიფიკაციამდე. თვითეულ მხარეს უფლება აქვს დროებით ზავზე უარი სთქვას მხოლოდ უნდა გააფრთხილოს 42 დღით ადრე. იმავე დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას. რომლის ძალითაც უნდა დაბრუნდენ თავიანთ სამშობლოში საწინდროთ წაყვანილი ხალხი, სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, ლტოლვილები და ემიგრანტები.

ახალ პეტლიურა.

ვარშავა. 26—2. (რადიო) პეტლიურასა და პილსუდსკის მოლაპარაკება აქვთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეთანხმებულ გამოსვლის შესახებ. ამ მოლაპარაკების შესახებ ცნობებს ვარშავის გაზეთი „კურიერი“ იძლევა.

ვილნოვის გადახვედა.

კოვნო. 26—2. (რადიო) ვილნოვის არმიის შტაბი, რომელმაც დაკავა ვილნო ლიტვიდან ბელოსტოკში გადვიდა.

რუსეთისა და ოსმალეთის მოლაპარაკება.

მოსკოვი 1-2 რადიო რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციის გახსნისას ნარკომინდელმა ჩიჩერინმა აღნიშნა. რომ ის მეგობრული განწყობილება. რომელიც დამყარებულია რუსეთ-ოსმალეთს შორის, უნდა განმტკიცდეს ამ სახელმწიფოთა მიერ დადებულ ფორმალურ ხელშეკრულებითაც. დელეგაციის თავმჯდომარემ იუსუფ ქემალ ბეიმ უპასუხა. რომ ოსმალეთის დელეგაცია მიიღიდა. რათა გულწრფელათ განიხილოს ყოველი საკითხი საბჭოთა რუსეთთან ერთად. ოსმალეთის მშრომელნი მეგობრულ ხელს უწვდიან რუსეთის მშრომელთა წარსულ წელს შემუშავდა რუსეთ-ოსმალეთს შორის დასადებ ხელშეკრულების პროექტი, ახლა ის უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს. სხდომის დასასრულ აირჩიეს პოლიტიკური უფლებრივი და სარედაქციო კომისიები.

დონდონის კონფერენცია

პარიზი. 1-2 რადიო გერმანიის დელეგატები კვირას ლონდონს წავიდნენ. ფიქრობენ, რომ გერმანელები მოლოს და მოლოს დაემორჩილებიან ძალას, ვინაიდან მოკავშირენი დიდ გრთსულოვნებას იჩენენ.

ლონდონში ოსმალეთის წარმომადგენლებთან შეგობრული მოლაპარაკება გრძელდება კილიკიის ფრონტზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ვინაიდან ამიერამ უარყოფითად უპასუხა სამედიატორო სასამართლოს შედგენის შესახებ. ამიტომ ოსმალეთსა და ბერძნებს შორის ომის გაგრძელების პასუხისმგებლობა ბერძნეთის მთავრობას დაედება.

რედაქტორი თედო ლონტი.

გამოსცემს დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე“ კრწანისის ქუჩა № 14.